

საქართველოს პრეზიდენტის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
N 374 1998 წლის 6 ივლისი ქ. თბილისი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის
კოდორის ხეობის მოსახლეობისათვის 1998 წელს სოციალური
დახმარების გაწევის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

"აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობაში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 27 მაისის 353 ბრძანებულების თანახმად კოდორის ხეობაში შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ინსტიტუტი, რომელმაც კოდორის ხეობის მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით უნდა უზრუნველყოს ხელისუფლების სტრუქტურების კოორდინაცია. კოდორის ხეობაში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მიერ განისაზღვრა ხეობის მოსახლეობისათვის სათანადო სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნისა და, პირველ რიგში, ნორმალური გამოზამთრებისათვის საჭირო გადაუდებელი ღონისძიებები. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 1998 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია გარკვეული ასიგნებანი, რაც საკმარისი არ არის პროგრამების დასრულებისა და ახალი სამუშაოების დაწყებისათვის.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობის მოსახლეობისათვის 1998 წელს სოციალური დახმარების გაწევის მიზნით:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (მ. ჭკუასელი):

ა) საქართველოს 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პრეზიდენტის ფონდიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობის მოსახლეობისათვის სოციალური დახმარების გადაუდებელ ღონისძიებათა განსახორციელებლად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გამოუყოს 600 ათასი ლარი, მათ შორის:

კოდორის ხეობის სოფელ აჟარაში საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 12 აგვისტოს N 423 ბრძანებულების შესაბამისად საუბნო საავადმყოფოს აღდგენითი სამშენებლო სამუშაოების დასასრულებლად _ 100 ათასი ლარი;

ხეობაში განათლების, ადმინისტრაციული, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად - 90 ათასი ლარი;

სოფელ აჟარის საშუალო სკოლასთან არსებული ინტერნატის ფუნქციონირებისათვის საჭირო ინვენტარისა და მოწყობილობების შესაძენად - 10 ათასი ლარი;

კოდორის ხეობაში მისასვლელი და შიდა გზების, ხიდების მოვლა-შენახვისა და რეაბილიტაციის სამუშაოების შესასრულებლად - 250 ათასი ლარი;

კოდორის ხეობაში საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის პროგრამის სტაბილური და შეუფერხებელი რეტრანსლიაციისათვის (კავშირგაბმულობის თანამგზავრზე სეგმენტის საიჯარო თანხის გამოყოფის შემთხვევაში) და აგრეთვე, ადგილობრივი ტელემაუწყებლობის შესაქმნელად - 50 ათასი ლარი;

ადგილობრივი წარმოების (მათ შორის, ხე-ტყის დამზადება და გადამამუშავება) რეაბილიტაცია-აღდგენისათვის - 100 ათასი ლარი.

ბ) კოდორის ხეობის მოსახლეობისათვის 1998 წლის 1 ივლისიდან წარმოდგენილი გრაფიკის შესაბამისად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტით გათვალისწინებული სურსათის მიწოდების მიზნით უზრუნველყოს 350 ათასი ლარის გამოყოფა.

2. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ (ა. ჯორბენაძე) უზრუნველყოს მშენებარე საავადმყოფოს სათანადო სამედიცინო აპარატურით დაკომპლექტება, საჭირო მედიკამენტებით მომარაგება და კოდორის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება.

3. საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრომ (თ. გაზდელიანი) კოდორის ხეობაში შექმნას სოციალური დაცვისა და დასაქმების შესაბამისი სამსახურები.

4. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ (თ. გიორგაძე) უზრუნველყოს კოდორის ხეობაში შეტანილი 10 ცალი მიკროელექტროსადგურის ადგილზე დამონტაჟება და ამოქმედება.

5. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ (ვ. პაპავა) ხელი შეუწყოს კოდორის ხეობაში მცირე ბიზნესის პროგრამის განხორციელებას.

6. 1998 - 1999 სასწავლო წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსამზადებელ განყოფილებაზე გასაუბრების წესით ჩასარიცხად კოდორის ხეობის მოსახლეობისათვის გამოყოფილ იქნეს 50 ადგილი;

7. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ (დ. თევზაძე), სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ (ჯ. გახოკიძე), შინაგან საქმეთა სამინისტრომ (ვ. თარგამაძე) და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტმა (ვ. ჩხეიძე) კოდორის ხეობაში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულთან ერთად ორ კვირაში წარმოადგინონ შეთანხმებული წინადადებანი ხეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და კრიმინოგენური ვითარების გაუმჯობესების შესახებ;

8. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ერთ თვეში კოდორის ხეობაში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულთან ერთად წარმოადგინოს წინადადებანი კოდორის ხეობის დამცველთა სახელმწიფო ჯილდოებზე წარსადგენად;

9. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ (თ. ნადარეიშვილი, ზ. ერქვანია) უზრუნველყოს კოდორის ხეობაში საქართველოს

პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატთან სამინისტროებისა და უწყებების შესაბამისი დანაყოფების შექმნა.

10. ამ განკარგულების შესრულების კონტროლი განახორციელონ ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა ნ. საჯაიამ, საქართველოს პრეზიდენტის რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის სამსახურის უფროსმა ბ. ხატიძემ და საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწემ ეკონომიკური რეფორმების საკითხებში თ. ბასილიამ.

ე. შევარდნაძე